

**აპლიკაცია Mark in Georgia - სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების  
ინოვაციური პლატფორმა**

**ქრისტინე ჯაგიევი  
თამარ გოჩიტაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქრისტინე ჯაგიევი

თამარ გოჩიტაშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი

პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ ლაშქრობის დროს სანავიგაციო მოწყობილობა აუცილებელი ატრიბუტია და არ აქვს მნიშვნელობა, ეს რუკა იქნება, კომპასი თუ GPS სისტემა. დღეს, ტექნოლოგიურ ერაში გადასვლის ფონზე, აუცილებლობა მოითხოვს რომ შევქმნათ და ვისარგებლოთ უფრო და უფრო მარტივი მოწყობილობებით, რაც ჩვენს მოგზაურობას მეტად სასიამოვნოს და უსაფრთხოს გახდის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, გამოავლინოს ტურისტული აპლიკაციის საჭიროებები და უპირატესობები სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის მეტად ათვისებასა და პოპულარიზაციას.

თავის მხრივ, ნაშრომში მოცემულია ის ტენდენციები, რაც სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით არსებობს მსოფლიო ბაზარზე და ამასთან, ჩატარებული კვლევის შედეგები ნათლად მეტყველებს, რომ საქართველო მზად არის ფეხი აუწყოს ამ გამოწვევებს და სათავგადასავლო ტურიზმის მეტად განვითარებისთვის გამოიყენოს აპლიკაცია, როგორც ლაშქრობაში ყველაზე საჭირო მოწყობილობა, რისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** აპლიკაცია, ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ლაშქრობა, მოგზაურობა, ინოვაციური ტექნოლოგიები

## Abstract

Practical experience shows that navigating equipment is a necessary attribute and it does not matter what kind of tool will be, if the compass or GPS system. Today, in the background of moving to the technological era, the need to create and use more and more simple things that make our trip more enjoyable and safe.

The purpose of this paper is to identify the needs and advantages of tourism applications in adventure tourism, in order to promote and digestion adventure tourism in Georgia.

On the other hand, the paper deals with the trends in the direction of adventure tourism in the world market, and the results of the survey have clearly indicated that Georgia is ready to call these challenges.

On the other hand, the work is presented in the direction of adventure tourism in the world market, and the findings of the survey clearly indicate that Georgia is ready to legitimize these challenges and in the process of development of adventure tourism use an application, as the most necessary equipment in the hiking is application, which analog doesn't exist in Georgia.

**Key words:** Application, Tourism, Adventure tourism, Hiking, Travel, Innovative technologies

## მადლობა

პირველ რიგში, სამუშაო ჯგუფის სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ხელმძღვანელს თორნიკე გურულს, იმ გაწეული სამსახურისთვის, რაც სამუშაო პროცესში ჩართულობას, სწორი მიმართულებებისა და რეკომენდაციების მოცემას გულისხმობს. ასევე, ნაშრომის მუშაობის პროცესის სწორად წარმართვაში დიდი წვლილი მიუძღვის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ვინც გაგვიმარტივა მოკვლევის პროცესი და მოგვაწოდა მათ მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის პრაქტიკულ მაგალითებთან დასაკავშირებლად და მათ პრაქტიკაში გასააზრებლად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის, სათავგადასავლო ტურიზმის ასოციაციისა და სხვადასხვა მოლაშქრეთა კლუბების წარმომადგენლებმა, რომლებმაც საკუთარი, მრავალი წლის გამოცდილება გაგვიზიარეს და დაგვანახეს რეალური პრობლემები.

ნაშრომის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია თითოეული ავტორის როლი, რაც მოიცავდა თეორიული ცოდნის შეგროვებას, ანალიზს, რესპონდენტებთან კომუნიკაციას, საჭირო ლიტერატურის მოძიებას, ტექნიკურ ცოდნას და სხვა. აღსანიშნავია, რომ თითოეული ავტორი გუნდურად და პასუხისმგებლობით ვუდგებოდით თითოეულ დეტალს. ერთად ვაანალიზებდით, განვიხილავდით, ვმსჯელობდით წყაროების, ციტატების, ლიტერატურის სისწორეზე და მკაფიოობაზე. სწორედ შეთანხმებული, გუნდური მუშაობის და თავდაუზოგავი შრომის შედეგად მივიღეთ აღნიშნული ნაშრომი და ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით დაინტერესებულ ადამიანებს მნიშვნელოვანი ცოდნის მიღებაში დაეხმარება.

და ბოლოს, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენი წვლილი შეიტანა ნაშრომის ფორმირების პროცესში.